აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის
პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 7 | 17 აპრილი, 2026 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№09-01-08/15, 16.04.2026 წ.)

(გამარტივებული წესით განხილვა)

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

16.04.2026 წელი	წამყვანი კომიტეტი -24.04.2026 წ. სხვა კომიტეტები: - 22.04.2026 წ.	საგაზაფხულო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი;
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციაში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე **ცოტნე ანანიძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 2188/02

"16" 04 2026

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ ცოტნე ანანიძეს

ბატონო ცოტნე,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, წარმოგიდგენთ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

ზემოაღნიშნულ კანონპროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განსახილველად წარადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი - დენის სალუქვაძე.

დანართი: „ 6 “ ფურცელზე.

09-01-08/15
16 04 2026
7 ფურცელი

პატივისცემით,

სულხან თამაზაშვილი

09-02-15/174
1 6
16 04 2026

6010 ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას 9
ტელ.: (422) 272000
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 9. Gamsakhurdia Str.
Phone: +995 (422) 272000
administration@ajara.gov.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 445

2026 წლის 16 აპრილი ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოსათვის წარდგენის შესახებ**

აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" და ,,კ" ქვეპუნქტების შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარედგინოს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

2. ბრძანების 1–ლი პუნქტით გათვალისწინებული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განსახილველად წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს და კანონპროექტზე მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი - დენის სალუქვაძე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სულხან თამაზაშვილი

09-02-15/175
1
16 04 2026

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge) 25.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010240010.30.056.016077) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის;“.

2. 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო – სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს;“.

მუხლი 2.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში არსებული სხვა, შესაბამისი უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამისი უწყებების მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (მხარჯავი დაწესებულების) და მის სისტემაში მოქმედი შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების განკარგვაში არსებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება მიენიჭოთ ამ კანონის ამოქმედების შედეგად განსაზღვრულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს (მხარჯავ დაწესებულებას) და მის სისტემაში შემავალ საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამონაცვლეს.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და შესაბამისმა უწყებებმა არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა უზრუნველყონ შესაბამისი კანონქვემდებარე

აქტების ამ კანონთან შესაბამისობა, აგრეთვე სათანადო ნორმატიული აქტების მიღება/გამოცემა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა და მე-2 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი და მე-2 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2026 წლის 22 ივნისიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი

ბათუმი,
2026 წლის
№

განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში, მოქმედი დებულების შესაბამისად შედის გარემოს დაცვის მიმართულება, ხოლო სამინისტროს ამოცანები მოიცავს გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში პოლიტიკის შემუშავებასა და მართვას, შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგის სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებას ან მათ მომზადებაში მონაწილეობას, აგრეთვე შესაბამისი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემუშავებას და სხვა. ამასთან, 2019 წლის 1 იანვრიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შედის და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებაა - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და მის კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო.

ამდენად, სამინისტროს საქმიანობაში გარემოს დაცვის მიმართულება მოიცავს საკმაოდ ფართო სპექტრს და პრიორიტეტული მნიშვნელობისაა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სამინისტროს სახელწოდებაში გარემოსდაცვითი კომპონენტის ასახვა და სამინისტროს ინსტიტუციური იდენტობის უფრო ზუსტად წარმოსაჩენად სამინისტროს სახელწოდების განსაზღვრა როგორც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალი-სწინებს კანონის მოქმედ რედაქციაში, კერძოდ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტსა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაცვლად ჩაიწეროს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისა სამინისტრო“.

ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტის მე-2 მუხლით წესრიგდება, წარმოდგენილი კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში არსებული სხვა, შესაბამისი უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამისი უწყებების მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (მხარჯავი დაწესებულების) და მის სისტემაში მოქმედი შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების განკარგვაში არსებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება მიენიჭოთ ამ კანონის ამოქმედების შედეგად განსაზღვრულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს (მხარჯავ დაწესებულებას) და მის სისტემაში შემავალ საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, მისი დებულებით სამინისტროს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებში, წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამონაცვლეს.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და შესაბამისმა უწყებებმა საჭიროების შემთხვევაში, ამ პუნქტის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრამდე სათანადო უწყებების წარდგინებით უზრუნველყონ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა, აგრეთვე სათანადო ნორმატიული აქტების მიღება/გამოცემა.

ამასთან, კანონპროექტის მე-3 მუხლი ითვალისწინებს კანონის ამოქმედების საკითხს, კერძოდ წარმოდგენილი კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა და მე-2 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო ამ კანონის პირველი მუხლი და მე-2 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები ამოქმედდება 2026 წლის 22 ივნისიდან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელწოდების ცვლილებას და მის განსაზღვრას, როგორც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო“. აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება სამინისტროს სახელწოდების სრულად შესაბამისობაში მოყვანა სამინისტროს მმართველობის სფეროსთან, ამოცანებსა და კომპეტენციებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელწოდების ცვლილება, კერძოდ, „სოფლის მეურნეობის სამინისტროს“ ნაცვლად მისი განსაზღვრა სახელწოდებით - „სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო“. აღნიშნული სახელწოდების ცვლილება განხორციელდება „აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტსა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტებში.

ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს სამინისტროსათვის ახალი უფლებამოსილების მინიჭებას, იგი მიზნად ისახავს არსებული ფუნქციური და სამართლებრივი მოცემულობის უფრო ზუსტ ტერმინოლოგიურ ასახვას სახელწოდებაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს გაუმართლებელ ფინანსურ შედეგებს იმ პირთა მიმართ, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.